პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი 23 აპრილი 1925 წ. წლიწადი მეხუთე ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 88 (786) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24. განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## დაიცავით სისუფთავე!

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად შეხვდებით კორესპონდენციებს, რომლებიც მოგვითხრობენ ანტი-სანიტარულ და ანტი-ჰიგიენურ მოვლენებზე ჩვენს ნაწილებში. მეტ ნაწილად ამ კორესპონდენციებში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ზოგ ნაწილებში წითელ-არმიელები თვეობით არ დადიან აბანოში, ყაზარმის შენობებში არა ყოველთვის არის დაცული „სათანადო სისუფთავე, ხშირად ყაზარმის ეზოები „ატალახებულია დამდგარი წყლებით, რასაც დიდი ზიანის მიყენება შეუძლია წითელ-არმიელებისათვის, ჯანმრთელობის მხრივ, სასმელად ხმარობენ აუდუღარ წყალს და სხვ. ყოველივე ეს ნაკლი, ცალკედ აღებული პირველ შეხედვით თითქოს წვრილმანია, უმნიშვნელოა; მაგრამ საერთო ჯამში ყველა მათ შეუძლიათ დიდი ზიანი მიაყენონ ჩვენი წითელ ჯარის კეთილდღეობას. სიბინძურეს და საერთოდ ანტი-სანიტარიას ნაწილებში შეუძლია გამოიწვიოს სხვა და სხვა ეპიდემიური ხასიათის სნეულებანი. მით უმეტეს არსებულ მომენტში, როცა უკვე შუა გაზაფხულს გადავცილდით და თბილ ამინდებს ხშირად ავდრები ცვლის. ამიტომაც სისუფთავის დაცვას და სანიტარულ საქმეს ამ თავითვე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც ნაწილის ხელმძღვანელთა, ისე თვით წითელ-არმიელთა მიერ. არსად ისე არ არის საჭირო სისუფთავეზე და ჰიგიენაზე ზრუნვა, როგორც წითელ ყაზარმაში, ვინაიდან ეს უკანასკნელი თავის ჭერ ქვეშ თავს უყრის არა ერთს და ორს მშრომელს, არამედ ასსა და ათასს.

ჰიგიენური პირობების დაცვა კი აქ მაშინ შეიძლება, თუ თითეული წითელ-არმიელი დაინტერესებული იქნება ამ საქმის მოგვარებაში, თუ თითეული მათგანი თვით დაიცავს სისუფთავეს და ამ მხრივ მაგალითი იქნება სხვებისთვის. შეგნება მუდამ, ყველგან და ყოველ საქმეში უნდა ახასიათებდეს წითელ მებრძოლს.

ის უნდა იყოს არა მარტო რევოლიუციის შეგნებული და შეუდრეკელი ჯარის კაცი, არამედ აგრეთვე კულტურის მებაირახტრე და კულტურობის მაგალითი.

ცუდი წითელ-არმიელია ის, რომელიც სისუფთავეს არ მისდევს და თავის ყაზარმაში არ იცავს მას. ამიტომაც დღეიდან ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა მოლაშქრეებმა. ისინი მუდამ უნდა ზრუნავდენ სანიტარულ პირობების დაცვაზე ნაწილში. ნაწილის კედლის გაზეთებმა ფართედ უნდა გააშუქონ საქმის მდგომარეობა ამ მხრივ. ჩვენი სამხკორები კი მოვალენი არიან სისტემატიურად მოგვაწოდონ წერილები, თუ რა გაკეთდა სანიტარულ და ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესების საქმეში და რა ნაკლს აქვს ადგილი.

სისუფთავის დაცვა და ჰიგიენური პირობების სათანადო სიმაღლეზე დაყენება წითელ ყაზარმაში არის ერთ ერთი მთავარი პირობა წითელი არმიის ნაყოფიერი მუშაობისა, მისი ზრდისა და გაძლიერებისათვის.

# ახალი რადიო-ამბები

## რა ხდება ბულგარეთში.

### ბულგარეთში მთავრობის სასტიკი ტერორი მძვინვარებს.

### ადგილი აქვს შეტაკებებს მთავრობის ჯარებსა და გლეხებს შორის.

მთავრობა საზღვრებს ამაგრებს.

მიმოსვლის განსაზღვრისა და ტელეგრაფზე ცენზურის დადების გამო შეუძლებელია სწორი წარმოდგენა ბულგარეთის მდგომარეობის შესახებ.

ბულგარეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ იქ სრული მშვიდობიანობაა.

მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მთელს ბულგარეთში სოფიის ტაძრის აფეთქების შემდეგ ამუშავდებოდა მთავრობის ტერორი და მასიური მკვლელობა.

ყოფილ ოფიცრებს მინკოვსა და იანკოვს, რომლებიც თითქოს მთავარი ორგანიზატორები იყვნენ აფეთქების საქმეში, დახვრეტა მიუსაჯეს. მინკოვი ხუთ კომუნისტთან ერთად ბარიკადაში ჩასაფრთდა და ბოლოს თითქოს თავი მოიკლა, რომ ტყვედ არ ჩავარდნოდა.

კერძო ცნობების თანახმად სოფიაში მოკლული არიან გლეხთა პარტიის მემარცხენე ფრთის დეპუტატები პიტრინი და გრეწჩაროვი. მოკლულთა რიცხვი აღემატება 1.000 კაცს. დაპატიმრებულია ყველა კომუნისტები და გლეხთა პარტიის ბელადები, რომლებსაც მოუსწრო პოლიციამ.

აუარებელი დაპატიმრება სწარმოებს აგრეთვე პროვინციებშიაც. ბულგარეთის მთავრობა სცდილობს ძველებურად ისარგებლოს შემთხვევით და პოლიტიკური მიზნებით ავრცელებს ხმებს, რომ აფეთქებაში მონაწილეა კომინტერნიო.

მარტო სოფიაში სიკვდილით დაუსჯიათ 400 კაცი. დაპატიმრებულთა რიცხვი რამოდენიმე ათასზე ადის.

მთავრობამ გაამაგრა სანაპიროები. სამხრეთ-სლავიის გაზეთების ცნობით, ბულგარეთი იმყოფება უკიდურეს რევოლიუციონურ დუღილში. აჯანყებულ გლეხებსა და მთავრობის ჯარებს შორის სწარმოებს შეტაკებები.

## ცანკოვის განცხადება.

ბულგარეთის რწმუნებული ვაშინგტონში პანარეტოვი სოფიის ტაძრის აფეთქების შესახებ აცხადებს, რომ „არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ სოფიის შემთხვევა—მოსკოვის აგენტების საქმეა". მან განაცხადა, რომ ვითომც ბულგარეთის მთავრობამ ხელში ჩაიგდო საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ „მოსკოვი აგზავნიდა ბულგარეთში ფულებს პროპაგანდისტებისთვის"-ო.

ცანკოვი ბრალს სდებს საბჭოთა მთავრობასა და კომინტერნს ბულგარეთის შემთხვევებში. ის აცხადებს, რომ კომინტერნსა და საბჭოთა მთავრობას სურთ აქციონ ბულგარეთი თავის მუშაობის ბაზად მთელ ბალკანეთში და მოუწოდებს დასახმარებლად მთელ ქვეყანას და ამბობს, რომ „ბოლშევიკები აწარმოებენ ბრძოლას, რომელიც მიმართულია მთელი ქვეყნების წინააღმდეგ"-ო.

## ნიუ-იორკის გაზეთი ბულგარეთის მღელვარების შესახებ.

ნიუ-იორკის გაზეთი „უორლდი" მოწინავეში სწერს, რომ შეცდომაა მიაწეროს საბჭოთა კავშირს პასუხისმგებლობა ბულგარეთის მღელვარებაშიო. გაზეთი აცხადებს, რომ კომინტერნი ალბად გამოიყენებს ბულგარეთის შემთხვევებს, რომლის მიზეზებს ფესვები აქვს ბულგარეთის რეჟიმის ეკონომიურ და პოლიტიკურ პირობებში.

## გამოფხიზლდენ.

პარიზის პრესამ შეიცვალა თავისი აზრი სოფიის ტაძრის აფეთქების შესახებ.

მაგ. გაზ. „ენფორმასიონი" აქვეყნებს ლონდონიდან მიღებულ დეპეშას, რომლის თანახმად ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობას არავითარი კავშირი არ აქვს სოფიის ტაძრის აფეთქებასთანო.

## ამხ. ფრუნზე ბაქოში.

### ჩვენი თავდაცვის მდგომარეობა და წითელი არმიის ამოცანები.

ბაქოს გარნიზონის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის კრებაზე ამხ. ფრუნზემ გააკეთა ვრცელი მოხსენება საბჭოთა კავშირის თავდაცვის მდგომარეობისა და წითელი არმიის ამოცანების შესახებ.

მან განაცხადა:

„საბჭოთა სახელმწიფოს ომის შემდეგ წლებში არ მიუქცევია თავდაცვის საკითხებისთვის განსაკუთრებით დიდი ყურადღება. უფრო მეტად ჩვენი ყურადღება მიქცეული იყო მშვიდობიან აღმშენებლობისაკენ. საბჭოთა სახელმწიფოს რომ ჰქონოდა დიდი შეძლება, იმ შემთხვევაში წითელი არმიისა და ფლოტის მდგომარეობა სულ სხვა იქნებოდა. უკანასკნელ დროს ჩვენი არმიის ნივთიერი (მატერიალური) მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი წითელი არმია ჩაცმულ-დახურულია და კარგად იკვებება. დიდი შედეგებია მიღწეული წითელ-არმიელთა, მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის კეთილმდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენ უნდა მივაქციოთ კიდევ დიდი ყურადღება წითელ-არმიელთა ყაზარმას, საიდანაც წითელი არმიელი გამოდის მოქალაქედ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ მომუშავედ.

ამ წლის განმავლობაში ჩვენ გავაძლიერეთ ჩვენი არმია. ეს მუშაობა ჩვენ უნდა განვაგრძოთ მომავალ წლებშიაც. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ ჩვენს ტეხნიკას, ქიმიას, საჰაერო ფლოტსა და ტყვიამფრქვევს. ამოცანები მეტად ბევრი გვიდგას წინ. საჰაერო ფლოტის საქმეში ჩვენ მივაღწიეთ თვითმფრინავისა და სამატორო აღმშენებლობას ჩვენს ქარხნებში. საჭიროა უკანასკნელის გაიაფება. ამისათვის საჭიროა შევქმნათ ძლიერი სამეტალურგიო მრეწველობა.

ქიმიისა და სამეცნიერო გამოკვლევათა დარგში არ ჩამოუვარდებით უცხოეთს. თუ ვინიცობაა შეტაკება მოგვიხდა, ის ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს: ჩვენ შევსძლებთ პასუხის გაცემას. ტეხნიკაში ჩვენ ჯერ ჩამორჩენილი ვართ. მაგრამ მომავალი ამ მხრივაც სასიხარულოა. უახლოეს წლებში ჩვენ სრულიად უზრუნველვყოფთ თავს ამ დარგში.

შემდეგ ამხ. ფრუნზე შეეხო სამხედრო სწავლებას და აღნიშნა ამ მხრივ დიდი წარმატებანი. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა, საჭიროა შემდეგი მომზადება და წითელ-არმიელის აღზრდა.

ამხ. ფრუნზე შეეხო დისციპლინის საკითხს და განაცხადა, რომ ჩვენი არმიის შემადგენლობა თავისი შინაური და გარეგანი სახით უნდა გავხადოთ სავსებით მტკიცე და ძლიერი. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ მტკიცე რევოლიუციონური წესრიგი არმიაში.

ამხ. ფრუნზე შეეხო ერთნაირ ფორმისა და ერთ უფროსობის აუცილებლობას და აღნიშნა ტერნაწილების, სამხედრო სამეცნიერო საზოგადოებათა წარმატებანი და სხვა.

შემდეგ ფრუნზე შეეხო სამუშაო დღის განტვირთვას წითელ არმიაში და აღნიშნა, რომ ერთად ერთი საშუალება განტვირთვის—ეს არის მუშაობის წესიერად დაყენება.

ამხ. ფრუნზემ დაასურათა სამხედრო აღმშენებლობის მომავალი და სანაპირო ნაწილების როლი და განაცხადა: „რომ შევსძლებდეთ ყოველივე დასახულის განხორციელებას, მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ ჩვენი არმია ყველა ფეხზე დაჭედილად. უნდა ითქვას, რომ ისეთი არმია, როგორიც შეიძლება გვყავდეს ჩვენ, არც ერთ სახელმწიფოს არ შეიძლება ჰყავდეს."

დასასრულ ამხ. ფრუნზე შეეხო ჩვენი საზღვაო ძალების მდგომარეობასა და ამოცანებს ფლოტის აღმშენებლობის დარგში. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ფლოტის ამოცანა განისაზღვრება მხოლოდ ხმელეთის ჯარებზე დახმარებით და ბოლოს განაცხადა: „საჭიროა არც იმდენად დიდი, მაგრამ ბრძოლის უნარიანი ფლოტი"

ფრუნზეს სიტყვა მხურვალე ტაშით დაიფარა. შემდეგ ილაპარაკეს კ. წ. დ. არმიის სარდალმა კორკმა და ბაქოს გარნიზონის უფროსმა—ნახიჩევანსკიმ.

## ამხ. ყარახანის ლექცია.



ამხ. ყარახანი.

ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლის თხოვნით 20 აპრილს ყარახანმა წაიკითხა ვრცელი ლექცია შემდეგ თემაზე: „საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთის ერები“.

აღნიშნა, რა რომ საბჭოთა რესპუბლიკები შექმნილია ლენინის მიერ ყარახანმა პოლიტიკური და ეკონომიური ანალიზი გაუკეთა იმპერიალიზმს და შეადარა ერთმანეთს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ყარახანმა დაბეჯითებით ურჩია სტუდენტებს შეისწავლონ საბჭოთა კავშირის ისტორია, ვინაიდან „მხოლოდ მისი ბრძოლის ისტორიიდან შეიძლება შეისწავლოთ, თუ როგორ უნდა იბრძოლოთ, რომ გაინთავისუფლოთ თავი იმპერიალიზმის მონობისაგან“.

ლექციას დაესწრო მრავალი ჩინელი და უცხოელი.

## სპარსეთის კონსული ამხ. ორახელაშვილთან.

21 აპრილს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ორახელაშვილმა მიიღო თავის კაბინეტში სპარსეთის გენერალური კონსული კავკასიაში—მოფატოლ-მოლქი და მისი მოადგილე მირზა-იზმილ-ხან ფარიდ-ეს-სულთანი და ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა მათთან.

## პენლევეს მთავრობის დეკლარაცია.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში პენლევე გამოვიდა მთავრობის დეკლარაციით, რომელშიაც მან განაცხადა, რომ ყველა საკითხების წინ სდგება საფრანგეთის მომავალი უზრუნველყოფისა და ფინანსიური განმტკიცების საკითხი.

საფრანგეთის მთავრობა მტკიცედ დაუჭერს მხარს ჟენევაში გამოცხადებულ სამ პრინციპს (შეიარაღების უზრუნველყოფა, სამედიატორო სასამართლო და განიარაღება).

კომუნისტ კაშენმა გააკრიტიკა დეკლარაციის განცხადება საგარეო პოლიტიკის საკითხზე. ომის მონაწილეთა დეპუტატები რამოდენიმე დეპუტატმა პროტესტი განაცხადა კაიოს შესვლის წინააღმდეგ მთავრობაში, რომელსაც სულიერ გახადეს „შვიდობის დამამყარებელ მთავრობად“.

## დეპუტატთა პალატამ ნდობა გამოუცხადა პენლევეს მთავრობას.

მთავრობის დეკლარაციის განხილვის შემდეგ დეპუტატთა პალატამ 304 ხმით 218-ის წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადა მთავრობას.

## ანტი-ქრისტიანული მოძრაობა ჩინეთში.

ჩინეთში ძლიერდება ანტი-ქრისტიანული მოძრაობა.

18 აპრილს, სასპორტო შეჯიბრების დროს სტუდენტებმა გაავრცელეს დიდძალი ქრისტიანული ბროშურა, გარეკეს კათოლიკების ორკესტრი და ქრისტიანულ ახალგაზრდობის კავშირის სპორტის ინსტრუქტორი.

სტუდენტობის მოძრაობის ჩასახშობად (ეს მოძრაობა მიმართულია ამერიკელების წინააღმდეგ) პროვინცია ფუკიენის სამხედრო ძალებმა დაადგინეს დახურონ სკოლები და სასტიკად დასაჯონ სტუდენტების მეთაური ფუჩ-სუ.

## მოსალოდნელია ცივი ამინდები.

22 აპრილიდან მთავარ გეოგრაფიულ ობსერვატორიის ცნობით ჩრდილოეთში, ჩრდილო-დასავლეთში და საბჭოთა კავშირის ევროპიულ ნაწილის ცენტრში დადგება ცივი ამინდები. კერძოდ ლენინგრადში ტემპერატურა დაიწევს ნოლქვევით. შეიძლება თოვლიც მოვიდეს.

# სამხედრო საქმე

## ურთიერთ შეცვლა.

ქვეითა ნაწილებმა დაასრულეს სწავლების მეორე საფეხური და თუთხმეტი აპრილიდან შეუდგა მესამეს.

მესამე საფეხურის თავისებურობა მდგომარეობს იმაში, რომ ამ თვეში (15 აპრილიდან 15 მაისამდი) იწყება მეცადინეობა—„ურთიერთ შეცვლა“-ში. „ურთიერთ შეცვლის“ მთელი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ მსროლელ განყოფილებათა მეომრები შაშხანის გარდა იწყებენ ხელის ტყვიამფრქვევის შესწავლას, მის მუშაობას მთლიანად, მისი მთავარ ნაწილების ურთიერთ მოქმედებას, დაბრკოლებას, მიზეზებსა და მათ თავიდან აშორებას, და აგრეთვე დაშლას, აწყობას, წმენდასა და მოფრთხილებას.

ამრიგად ასეულის ყველა მეომრებმა უნდა შეისწავლონ ამ თვეში ხელის ტყვიამფრქვევი.

ამ დროს დაზგის ტყვიამფრქვევის განყოფილებები დაწვრილებით სწავლობენ „მაქსიმა“-ს მატერიალურ ნაწილების ყველა თავისებურებას და საბრძოლო თვისებებს.

დღემდის გუნდის მეომართა უმეტესობა სწავლობდა უფრო ნაკლებ რთულ „მანქანას“-შაშხანას, რომელსაც ცოტა აქვს სუსტი (ადვილად გასატეხი) ნაწილები.

ეს საშუალებას აძლევდა ყოველ მეომარს, კვირაში ერხელ (ჩვეულებრივად შაბათს სადილის შემდეგ, როცა სწარმოებს იარაღის წმენდა) თვითონ დაეშალა, აეწყო და გაეწმინდა შაშხანა და გზადაგზა შეესწავლა მისი ნაწილები და მათი ურთიერთ მოქმედება. განყოფილების უფროსის ერთგვარი მეთვალყურეობის ქვეშ ასეულის მეომართა უმეტეს ნაწილს ამის უფლება ეძლეოდა. ამ რიგად მეომრებმა საკმაოდ შეისწავლეს თავიანთი შაშხანა.

ტყვიამფრქვევის საქმე ცოტა უფრო ძნელია. ერთი რომ ტყვიამფრქვევის ნაწილები უფრო რთული, სათუთია და ადვილად შეიძლება დაიმტვრეს. მეორედ, რადგანაც არ იციან ტყვიამფრქვევის აგებულება, მეომრებს არ შეუძლიათ უხელმძღვანელოდ მისი დაშლა და აწყობა.

აქედან დასკვნა: ხელის ტყვიამფრქვევის შესწავლის პირველ ხანებში არც ერთმა გუნდის მეომარმა (ტყვიამფრქვევის გუნდის წ. არმიელმა) განყოფილების უფროსთან ან ტყვიამფრქვევის სპეცის (მცოდნის) გარეშე არ უნდა შეუდგეს ტყვიამფრქვევის დაშლას. მეთაურთა შემადგენლობამ სასტიკად უნდა ადევნოს ამას თვალყური. უცოდინარად მოქცევას ხშირად მოსდევს იარაღის გაფუჭება, რაიც ზარალს მოუტანს ჩვენს საბჭოთა მეურნეობას.

ტყვიამფრქვევის შესწავლით დაინტერესებულთათვის სასარგებლოა მოწყობილ იქნას ერთი, ორი X გუფი და საუბარის სახით უნდა აჩვენო და აუხსნა მათ; ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ მათ უნდა დააშლიო და ააწყობიო ტყვიამფრქვევი. ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ტყვიამფრქვევის ნაწილების გაფუჭება.

## სალაშქრო წესით ბანაკში გადასვლა.

ბანაკში გადასვლა შეიძლება რკინის გზითაც და ქვეითადაც. ამ წელში განზრახულია არ იქნას რკინის გზით გადაყვანილი ზოგიერთი ნაწილი, არამედ ისინი გაიგზავნონ სალაშქრო წესით (ქვეითად); ასეთი გადასვლის ამოცანაა მიეცეს მეომრებს უფრო ხანგრძლივი მოძრაობის პრაქტიკა, ვინემ ეს მათ ჰქონდათ ზამთრის პერიოდში სწავლების დროს.

ყაზარმიდან ბანაკში ასეთი გადასვლის ფორმა, თუ საკმაოდ არ არიან მომზადებული მინდვრად მოქმედებაში განყოფილება და მწყობრი, ვერ მოგვცემს ისეთ შედეგებს, როგორის მიღებაც სასურველი იყო. ასეთ სამ-ოთხ დღიან ქვეითად გადასვლას მეტი ღირებულება ექნებოდა, რომ ჩვენს სამხედრო ნაწილებს სრულიად გაევლოთ მინდვრად ასეულის, ათასეულისა და ლეგიონის საბრძოლო მუშაობა.

მაგრამ რაც უნდა ცოტა არ იყოს გავლილი გასულ ზამთრის პერიოდში საველე მომზადების ნორმალური გეგმიდან, მაინც ასეთ გადასვლას ბანაკში დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია.

პირველ ყოვლისა ასეთ მოძრაობის დროს ჯარის რაზმები შემდგარი იქნება შეძლებისდაგვარად სხვა და სხვა გვარი იარაღისაგან, რაიც სარგებლობას მოიტანს იმით, რომ სხვა და სხვა გვარი იარაღის მეომრები ერთმანეთს გაეცნობიან. ამას გარდა სამი-ოთხი დღის ქვეითად მოძრაობა საშუალებას მისცემს ყოველ მეომარს აწონოს გადასვლის მთელი სიძნელე და თავისებურობა, და აგრეთვე გამოირკვიოს თუ ამა თუ იმ ნაწილის მეომრები რამდენად არიან მომზადებული ხანგრძლივი გადასვლის წარმოებისთვის.

ამას გარდა მოძრავი რაზმის მეთაურის მიერ წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით, სალაშქრო მოძრაობას უნდა ახლდეს თან სიფრთხილის ზომები: სათანადო დაზვერვა, და მასთან რაზმი უნდა მოძრაობდეს იმ წესით, რომ თითქოს ეს მოძრაობა ხდებოდეს ნამდვილ საბრძოლო გარემოებაში.

რათა ტყვილა უბრალოდ არ ჩაიაროს და სათანადო სარგებლობა მოიტანოს სალაშქრო წესით გადასვლამ, ამისათვის საჭიროა მეთაურთა შემადგენლობამ თავის დროზე დაისახოს და დაწვრილებით გამოიმუშაოს სალაშქრო გადასვლის წესი.

ანგარიში უნდა გაუწიო სალაშქრო ცხოვრების ყოველივე წვრილმანს, რომელსაც ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგალითად: ცუდად დახვეული ფეხსახვევი მოსწვავს ფეხს და ამის გამო მეომარს ბრძოლის უნარი უსუსტდება. თუ სალაშქრო დისციპლინა არ არის დაცული, მეომრები მალე იღლებიან, რაიც იწვევს აგრეთვე ბრძოლის უნარიანობის შესუსტებას.

ყველა ამ ვითომდა წვრილმანებს ანგარიში უნდა გაეწიოს და რომ ისინი არ იქნან დაშვებული, საჭიროა წინასწარ სათანადო ზომების მიღება.

თუ სალაშქრო გადასვლის გეგმა ყურადღებით და დაწვრილებით იქნება გამომუშავებული, ის დიდ სარგებლობას მოუტანს თავის ნაწილის საბრძოლო მომზადებაში დაინტერესებულ მეომრებსა და მეთაურთა შემადგენლობას.

## ამერიკის სამხედრო ფლოტის მომავალი მანევრები.

იმპერიალისტური მთავრობები ბევრს ლაპარაკობენ ზავის და განიარაღების აუცილებლობაზე. თითეული მათგანი მუდამ ირწმუნება მასში, რომ ის თითქოს დიდი წინააღმდეგია ომის და მომხრეა მშვიდობიანურ დამოკიდებულებისა ყველა სახელმწიფოთა შორის. მაგრამ ერთია ლაპარაკი, სულ სხვაა საქმე და სინამდვილე. იმ დროს, როცა თითეული მათგანი გულმოდგინეთ ეფიცება ერთმანეთს მშვიდობიანობის დაცვაში, ზურგს უკან კი გამალებით ადიდებენ თავის შეიარაღებულ ძალებს, სამხედრო-ტეხნიკას, რომ ხელსაყრელ მომენტში ჩამოიხადონ „მშვიდობიანობის“ ნიღაბი და გამოაშკარაონ მტაცებლური იმპერიალისტური სახე. ამას წინად ჩვენ გვქონდა წერილი მოთავსებული იმის შესახებ თუ როგორი სისწრაფით იზრდება კაპიტალისტურ ქვეყნების სამხედრო შეიარაღება. გამოგონება გამოგონებას სდევს სამხედრო ტეხნიკაში. ბურჟუაზიული ქვეყანა ყოველ დღე სულ ახალ-ახალ სასიკვდილო იარაღებს იგონებს ადამიანთა ტომის გასაჟლეტად. ამავე დროს თითეული იმპერიალისტური სახელმწიფო სცდილობს გაასწროს თავის მოქიშპეს და მომავალ მტერს. თითეული მათგანი დიდის ენერგიით და სერიოზულობით ემზადება მომავალ შეტაკებისათვის. ამის საუკეთესო მაგალითია ამერიკის სამხედრო ფლოტის მანევრები წყნარ ოკეანეზე.

როგორც რადიომ გადმოგვცა მანევრებში მონაწილეობას მიიღებს 127 სამხედრო გემი, მათ შორის 10 უდიდესი დრედნოუტი. მანევრები გაგრძელდება რამოდენიმე თვეს. მონაწილეთა რიცხვი იქნება 40.000 კაცი. თვით მანევრები როგორც იტყობინებიან რამოდენიმე ათეული მილიონი დოლარი დაჯდება. აი სად და რა მიზნით იხარჯება მილიონ მშრომელთა ნაოფლარი და ნაამაგარი. თუ მარტო მანევრები დაჯდება რამოდენიმე ათეული მილიონი დოლარი, მაშ რა დაჯდება თვით ის ხოცვა-ჟლეტა, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები უმზადებენ კაცობრიობას.

ამის პასუხი ყველასათვის ნათელია.

ამ შემთხვევაში ვის წინააღმდეგ არის უმთავრესად მიმართული ამერიკის სამხედრო ფლოტის დემონსტრაცია, რომელიც არა ატლანტიურ არამედ წყნარ ოკეანეზე უნდა მოხდეს. ცხადია ამერიკის ძველ ისტორიული მტრის—იაპონიის წინააღმდეგ. ამერიკა და იაპონია—აი ორი შეურიგებელი დაუძინებელი მტერი, რომლებიც ვერ ითმენენ ერთმანეთს და მუდმივ მტრობაში იმყოფებიან.

იაპონიას სული ეხუთება მის ვიწრო სახელმწიფო ტერიტორიაზე. მისი მიზანია გააფართოვოს თავის სახელმწიფო ფარგლები ამერიკის და ჩინეთის ხარჯზე. ამერიკა კი არა თუ თავისი დაუთმოს ვინმეს, არამედ თვით ეძებს ახალ ბაზარს და ნედლეულობით მდიდარ მიწებს, რომ უფრო გაამრავლოს და გაადიდოს თავისი აურაცხელი სიმდიდრე. მისი ხარბი თვალი ამ შემთხვევაშიც მტკიცედ დასჩერებია იმავე ჩინეთს. მაგრამ ჩინეთის ხელში ჩაგდება არც ისე ადვილია, როცა მას ბევრი მტაცებლები ეპოტინებიან, და მათ შორის უმთავრესად იაპონია.

აქედან დაუსრულებელი ბრძოლა და ქიშპობა ამ ორ მტაცებლურ სახელმწიფოთა შორის.

მათი ბრძოლა უნდა გადასწყვიტოს საზღვაო ომმა. ვისაც დარჩება წყნარ ოკეანეზე ბატონობა ამ ორში, ის არის გამარჯვებული ყველა სადავო საკითხებში. დღეს ამერიკა აწყობს თავისი საზღვაო სამხედრო ძლიერების დემონსტრაციას.

ამით ის ემუქრება თავის მოსისხლე მტერს—იაპონიას. ალბად არც ეს დარჩება ვალში, მიუხედავათ იმისა, რომ ის არც ისე ძლიერია თავისი მატერიალური შესაძლებლობებით როგორც ამერიკა.

ამრიგად ამერიკის სამხედრო ფლოტის მანევრები, როგორც ზევით ვსთქვით საუკეთესო მაგალითია იმისი, რომ კაპიტალისტური ქვეყანა კვლავ ახალი ომის კოცონის დანთებას აპირებს.

აქედან საერთაშორისო პროლეტარიატმა სათანადო დასკვნა უნდა გამოიტანოს. უფრო მტკიცედ შეამჭიდროვოს თავისი რიგები და ყოველგვარ სამხედრო საფრთხისათვის მზად იყოს, რათა მან შესძლოს იმპერიალისტური ომის მყისვე სამოქალაქო ომად გადაქცევა.

—მ.

# პარტიული ცხოვრება.

## ახკომკავშირელთა შორის.

### საარტილერიო ლეგიონი.

19 აპრილს შესდგა საარტილერიო ლეგიონის ახკომკავშირელთა ჯგუფების გაერთიანებული კრება. დაესწრენ უპარტიო არმიელებიც.

კრებამ მოისმინა მოხსენებები: 1. თუ როგორ უნდა უხელმძღვანელოს ორგანიზატორმა თავის ჯგუფს; 2. მოხსენება რელიგიაზე; 3. საქართველოს ახკომკავშირის ისტორია და სხვა მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ჯგუფის ორგანიზატორმა ამხ. მამალაძემ. ამხ. ვრცლად გააშუქა თუ როგორი სისტემით უნდა ხდებოდეს ჯგუფის მუშაობა და სხვა.

ამავე ამხანაგმა გააკეთა მოხსენება რელიგიაზედაც, სადაც აღნიშნული იქნა კომუნისტური ახალგაზრდობის როლი სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლაში. იყო მრავალი საგულისხმიერო შეკითხვები. მოხსენება მიღებული იქნა ცნობად.

საქართველოს ახკომკავშირის ისტორიაზე ვცრელი მოხსენება გააკეთა მეოთხე ბატარეის ორგანიზატორმა. ამხანაგმა მოიხსენია ის ამხანაგები, რომლებმაც თავისი ენერგიული მუშაობით პირველ საფუძველი ჩაუყარეს კავშირს საქართველოში. დაწვრილებით გაეცანით მოხსენებიდან კავშირის პირველი დაარსების ისტორიას, შემდეგ მთავარ სახელოსნოებში მის გადატანას და სხვა. საერთოდ კრება შინაარსიანად ჩატარდა, და კარგი შთაბეჭდილება მოახდინა უპარტიოებზე.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი

## მეექვსე ლეგ. 3-ე ათასეული.

9 აპრილს შესდგა მე 6-ხე ლეგიონის მე-3 ათასეულის კომუჯრედის კრება. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები:

კომუჯრედის წარსული მუშაობა, კომუჯრედის მდივნის არჩევა, ახ. ლენ. კ. კ. ჯგუფის დაარსება და ხელმძღვანელის გამოყოფა, კამპანიის ჩატარება აღრიცხვაზე ასაყვანად ცვალებად შემადგენლობაში, „გაზ. „წითელ არმიელის" გამოწერა, და სხვა.

პირველ საკითხზე ამხ. ადამიამ აღნიშნა, რომ კომუჯრედის მდივანი ამხ. ნუცუბიძე გულგრილათ ეკიდებოდა კომუჯრედის საქმეებსო. სამხკომმა ამხ. ბერიძემაც თავის მოხსენებაში არა დამაკმაყოფილებლად სცნო მდივნის საქმიანობა. კრებამ დაადგინა წარსული კომუჯრედის მუშაობა ჩაითვალოს უარყოფითად და ამხ. ბერიძის თანამოხსენება იქნეს მიღებული ცნობად და სახელმძღვანელოდ.

კომუჯრედის მდივნად იქმნა არჩეული ამხ. ადამია, რომელსაც დაევალა ყოველი ნაკლის გამოსწორება.

ამ კრებაზედვე ჩაეყარა საფუძველი ახალგაზრდათა კომკავშირის ჯგუფს, რომლის ხელმძღვანელად დანიშნული იქნა ამხ. კილასონია.

1902 წელში დაბადებულთა შორის აგიტკამპანიის ჩასატარებლად, დაევალა ყველა კომუჯრედის წევრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ და მოკლე ხანში მოწვეულ უნდა იქნეს ყველა ცვალებად შემადგენლობაში მყოფი კომუნისტების კრება, რომლებიც ჩათრეულ უნდა იქნენ მუშაობაში სათანადო დირექტივების მიცემით.

ამის შემდეგ ამხ. ბერიძის მოწოდებით, კომუჯრედი მთელი შემადგენლობით იწერს ყოველ თვიურად გაზეთ „წითელ არმიელს", 12 ეკზემპლიარს. მიმდინარე საკითხებში შემოტანილ იქნა წინადადება თელავის კომუჯრედთან კავშირის დაჭერის შესახებ. კრებამ მიიღო წინადადება და დაადგინა, ურთიერთ კრებებზე იგზავნებოდეს ორ-ორი წარმომადგენელი, უჯრედებში მუშაობის გასაცნობათ.

პარტკორი დ. ჩიკვაიძე.

## უნცროს მეთაურთა 1-ლი ლეგ. სკოლა.

სკოლაში თანდათან ყალიბდება პარტმეცადინეობის საქმე. კვირაში ორჯერ ტარდება მეცადინეობა. ჯერ-ჯერობით გავდივართ რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორიას. სახელმძღვანელოდ ვხმარობთ ზინოვიევის შრომას. ხელმძღვანელები გვაძლევენ გაკვეთილებს და შემდეგ ჩვენ შესაფერი მოხსენებით გამოვდივართ. იმართება კამათიც. საერთოდ მეცადინეობა ყოველთვის ცოცხლად და ხალისიანად მიმდინარეობს.

გაკვეთილებს არავინ გაურბის, ყველა გულდასმით ეკიდებიან დავალებული თემების მომზადებას. შეთვისებითაც დამაკმაყოფილებლად ითვისებენ.

ამ მოკლე ხანში დავამთავრებთ კომუნისტური პარტიის ისტორიის დაწვრილებითი შესწავლას და შემდეგ უფრო ენერგიულად შეუდგებით სხვაში მეცადინეობას. ამხანაგების მონდომება იმის თავდებია, რომ მომავალში უფრო ენერგიულად მოკიდებენ ხელს მუშაობას.

პარტკორი კოხრეიძე.




## მოგვეცით გადადუღებული წყალი.

### საარტილერიო ლეგიონი.

ჩვენი ლეგიონის სამნეო ნაწილმა ადრევე გააკეთებინა ჭურჭლები გადადუღებული წყლისთვის, მაგრამ საუბედუროდ შიგ არც გადადუღებული და არც უდუღარი წყალი არ მოიპოება. მთელი ზამთრის განმავლობაში ერთხელ არ ყოფილა ჭურჭლებში ადუღებული წყალი. ეხლაც ხომ ზედმეტია ლაპარაკი. ადუღებული წყალი განსაკუთრებით ეხლა არის საჭირო ჩვენს ნაწილებში, სანამ საბანაკოდ არ გავსულვართ. საჭიროა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას ჩვენმა უფროსებმა და მოგვაწოდონ გადადუღებული წყალი. ამასვე უნდა ცდილობდეს ადგილობრივი სანიტარული განყოფილებაც. თორემ როდესაც რაიმე გადამდები სნეულება იჩენს თავს მაშინ გვიან იქნება სინანული და ზომების მიღება.

სამხკორი ნამკაშურელი.

## დაცინვას ბოლო უნდა მოეღოს.

პირველი ლეგიონის მესამე ასეულში არის ერთი წითელი არმიელი მუმლაძე, რომელიც ყოველთვის ცუდათ ექცევა თავისავე ამხანაგ არმიელებს.

ერთ დილას წყალსადენის მილთან კიდევაც სცემა წითელ არმიელ გიორგაძეს, რომელიც შეგნებით შეხვდა ამხანაგის თავხედობას და ხელი არ შეუბრუნა, არც უჩივლია უფროსებთან.

მას შემდეგ ეს ვაჟბატონი უფრო გათამამდა და ვინ იცის როგორი უშვერი სიტყვებით არ დასცინის თავისავე ამხანაგებს.

როდესაც ვეტყვით, თუ რად ჩადის ასე, რატომ არ უნდა იცოდეს, რომ ასეთი გამოსვლებით საშინლად ამცირებს ამხანაგებს და დაუშვებელია შეგნებული წითელ არმიელისათვისო, ის გვიპასუხებს—უნცროს მეთაურებსაც კი: „შენ კართობილი გამოიღე პირიდან და ისე ილაპარაკეო".

ამ ამხანაგზე არ მოქმედობს ამხანაგური დარიგება. საჭიროა სხვა გვარი ზომები მიიღონ მის წინააღმდეგ და შესაფერი პასუხი მოეთხოვოს.

ახკორი მართლის მთქმელი.

## ჩვენი რემედასის უჯრედი.

### 6-ხე ლეგ. 6-ხე ასეული.

მეექვსე ლეგიონის 6-ხე ასეულის რემედასის უჯრედი უკვე ჩამოყალიბდა. ჯერ-ჯერობით უჯრედს მაინც ბევრი ნაკლი აქვს. არა გვაქვს სახელმძღვანელო წიგნები და ინსტრუქციები.

უჯრედში ამ ჟამად შედის 30 წევრი. უმეტესობას შეადგენენ წითელ არმიელები და ადგილობრივი წევამდელები.

მოწყობილი გვაქვს რემედასის კუთხე. გვაკლია ლიტერატურა. საჭიროა თანხა კუთხის მოსაწყობათ.

წევრები სულ მცირე ოდენა საწევრო გადასახადს იხდიან და აქედან აკრეფილი თანხით კუთხეს ვერ მოვაწყობთ.

ძლიერ მოისუსტებს რემედასის უჯრედში მუშაობაც, რასაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სამაზრო რემედასის ბიურომ.

ასეულის წითელ არმიელებმა და უფპოლიტშემადგენლობამ ერთხმად დაადგინეს, რათა შესაძლებლობის ფარგლებში შესწირონ რემედასის სასარგებლოთ საჭირო თანხა წიგნების შესაძენათ. ჯერ-ჯერობით შეკრებილი გვაქვს ოთხი მანეთი. შემოწირულება თანდათან შამოდის.

ა. შეხმაშვილი.

## თავისას მაინც არ იშლიან.

### 5-თე ლეგიონი.

მეხუთე ლეგიონის საკომენდანტო ოცეულში იმყოფებიან გაზაფხულზე გამოწვეული არმიელები. ისინი კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ ამავე ოცეულში იმყოფებიან კიდევ ნადეზერტირალი არმიელები, რომლებიც თითქმის არაფერს აკეთებენ. პირველ ხანებში ისინი ავადმყოფობდენ, ხოლო როდესაც გამორჩენ მაინც არ მოიშალეს თავისი. სამი მათგანი ისევ გაიპარა ოცეულიდან. ამ ვაჟბატონებს არც ერთი დღე არ გაუტარებიათ ყაზარმაში. წითელ არმიელის სახელს კი ყოველთვის ატარებდენ და სარგებლობდენ მით.

ისინი ჩირქს სცხებენ წითელ ჯარის სახელს, რისთვისაც სათანადოთ უნდა დაისაჯონ. მთელი ოცეულის არმიელები ზიზღს უცხადებთ ამ ვაჟბატონებს დეზერტირობისათვის და ვსთხოვთ ვისაც ჯერ არს ღირსეული სასჯელით გაუმასპინძლდეს ამ გამოუსწორებელ ხალხს.

სამხკორი მ—ძე.

## გაგვაცანით მიწის კოდექსი.

პირველ ცალკე საკავშირო ასეულში სისტემატიურად ტარდება პოლიტსაათი. აქ მიდის საუბრები სხვა და სხვა თემებზე. მაგ. ჩვენ ვეცნობით საბჭოთა აღმშენებლობას, წ. არმ. პოლიტიკურ აღზრდას, დისციპლინის მნიშვნელობას და სხვ. ამას გარდა მეტად საჭიროა გაეცნონ ჩვენი, სოფლიდან და ქალაქიდან მოწვეული წითელ-არმიელები სოფლისა და ქალაქის ყოფა-ცხოვრებას, მის საჭიროებას, ავსა და კარგს. ახლად მოწვეული წითელ-არმიელი ვერ არის კარგად გაცნობილი მთავრობის მიერ გამოცემულ სასოფლო-სამეურნეო დეკრეტებს, შრომის კოდექსებს, წითელ-არმიელთა ოჯახებზე მინიჭებულ შეღავათებს და მრავალ სხვას. ეს საკითხები მეტის მეტად საინტერესოა წითელ-არმიელისთვის.

მაგალითად წითელ არმიელს მოდის ოჯახიდან წერილი, რომ ადგილობრივმა საბჭომ არ გაავრცელა მის ოჯახზე მთავრობის მიერ მინიჭებული შეღავათები.

ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ სოფლის საბჭოები კარგად არ ერკვევიან საქმის ვითარებაში და უარს ეუბნებიან ამა თუ იმ შეღავათის მიცემაზე. აი აქ საჭიროა წითელ არმიელი გაცნობილი იყოს სხვა და სხვა შეღავათების დეკრეტებს, რათა გაუგზავნონ თავიანთ ოჯახებს წერილები რჩევა-დარიგებით ამა თუ იმ საქმეში. ასე რომ ჩვენთვის მეტად საჭიროა საფუძვლიანად გავეცნოთ მიწისა და შრომის კოდექსებს, ვინაიდან სამხედრო ბეგარის მოხდის შემდეგ ჩვენ დავბრუნდებით ზოგი სოფლად, ზოგიც ქალაქში—სახელოსნოებში, ხოლო მაშინ კი აუცილებელი იქნება ყოველმა ჩვენთაგანმა იცოდეს თუ სადა რა უფლებით ვსარგებლობთ.

სამხკორი შალაშინი.

## კიდევ ერთი ნაკლის შესახებ.

1-ლ საარტ. ლეგიონში ავადმყოფობა ხშირდება თანდათანობით. ავადმყოფ წით. არმიელებს ექიმები პირველათ ათავსებენ ადგილობრივ ქსენონში და შემდეგ კი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მას აგზავნიან სამხედრო გოსპიტალში. გაგზავნის დროს მოუყვანებენ ფურგუნს ან ორთვალს და იმით წაიყვანებენ. ასეთი გაუფრთხილებელი მოპყრობით ავადმყოფი ძლიერ ილახება. ორთვალას ქვაფენილზე რიხინი კარგად მყოფსაც უშლის ნერვებს, თორემ ავადმყოფს რაღას უზამს?

საჭიროა ჩვენი ლეგიონი ამ გარემოებას დროზედ მიაქცევდეს ყურადღებას და ავადმყოფების წასაყვანად შეიძენდეს ერთ რესორებიან ორთვალას.

პარტკორი მიხო-საწირელი.

## ჩვენი საკლუბო მუშაობა.

### მე 3-ე ლეგიონი.

ახალად არჩეული კლუბის მმართველობა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. კლუბის მმართველობა არჩეული და ჩამოყალიბებული იყო ისე, როგორც ამას მიგვითითებდა ჩვენი დივ პოლიტ-განი უკანასკნელ ცირკ. № 440-ში.

#### წრეები.

კლუბთან არსებობს გარდა ძირითად წრეებისა 7 წრე ე. ი. სულ 10 წრე მათში სისტემატიურად მუშაობს 6. დანარჩენები ცოტათ მოისუსტებენ, მაგრამ ეს ხელმძღვამელების უმოქმედობის ბრალია. წითელ-არმიელთა რიცხვი საერთოდ ყველა წრეებში 350 დე აღწევს. მეთაურ-პოლიტ-შემადგენლობა კი 15-დე.

#### ლენინის კუთხეები და ჩანასახები.

კუთხეები ლეგიონში ჩამოყალიბებულია შეძლებისდაგვარად სულ არის 9 ლენინის კუთხეები—მათ შორის 6 ძლიერ კარგად მოეწყო და დანარჩენებში მიდის გადახალისება. აგრეთვე დაარსებულია კუთხეების და მიხედვით 38 ჩანასახები. წ.არმიელების რიცხვი 270-დე აღწევს; უფ-პოლიტ შემადგენლობა ძლიერ ცოტანი არიან.

#### კომუჯრედი და ლენინის კუთხე.

კომუჯრედს თავის წევრები განაწილებული ყავს ლენინის კუთხეებში სხვა და სხვა დარგის საქმეებზე. ლენ-კუთხის ხელმძღვანელთან შეთანხმებით კომუჯრედი იმუშავებს ყოველ თვიური კალენდ. ცხრილს ლენ-კუთხეში. საამისო დირექტივებს კი ღებულობენ ბ. კოლექტივიდან და კლუბიდან. კომუჯრედს აქვს ყოველ ორკვირეული კედლის გაზეთი.

#### სათეატრო მუშაობა.

სათეატრო მუშაობის მთავარი სიმძიმის ცენტრი გადატანილია ლენ-კუთხეებში—თვით მოქმედების საღამოების ჩატარების სახით, მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენს ლეგიონს არ ჰქონდა საკუთარი დარბაზი მაინც შესძლო სხვა და სხვა დღესასწაულების აღსანიშნავათ—ჩაეტარებია 13 წარმოდგენა.

#### ფიზ-კულტურა.

მიუხედავათ იმისა, რომ ერთმა ბოროტმა პირმა გაქურდა ჩვენი ფიზ-კულტურის წრე, ჩვენ მაინც შევსძელით აღნიშნულისათვის შეგვეძინა სავარჯიშო იარაღები, დაგვეარსებია გუნდები: ფეხ-ბურთალთა—მძლეოსნობის და ძალმოსნობის.

შეუკერეთ ტან-ფეხი ფეხ—ბურთალთა გუნდს, რომელიც არ ჩამორჩება სხვა ნაწილების ფეხ-ბურთალთა წრეებს. მას ჰქონდა შეჯიბრება ამხანაგური 5-თე ლეგიონთან, სადაც გამოვიდა გამარჯვებული 2—0—ჩვენი სასარგებლოთ.

ს. გეგია.

## როგორ ვმუშაობთ.

**პირველი ლეგ. 4-ზე ასეული.**

პირველი ლეგიონის 4 ზე ასეულში ნაყოფიერად მიმდინარეობს მეცადინეობა. წითელ-არმიელები მონდომებით და შეგნებულად ეკიდებიან ყველა დავალებას.

თავისუფალ საათებში ვერ ნახავთ უსაქმურად გაჩერებულ ერთ არმიელსაც. ზოგი წიგნებს კითხულობს და ზოგიც ახალ გაზეთებს. წერა-კითხვის უცოდინარნი კი გულდასმით უსმენენ გაზეთის მკითხველ ამხანაგებს.

ზოგიერთი ამხანაგები თავს იყრიან ასეულის სროლის კუთხეში და ეცნობიან სხვა და სხვა ტიპის იარაღებს და ახალს სასროლ საქმეში.

ასეულს აქვს საკუთარი კედლის გაზეთი. სარედაქციო კოლეგიაში წითელ-არმიელები შედიან და გაზეთშიც განსაკუთრებით წითელ-არმიელები თანამშრომლობენ.

ძლიერ ხალისიანად ეკიდებიან სპორტსაც. შევიძინეთ ორი ბურთი. ყოველ დილაობით ადრე იმართება გაზურებული ფეხბურთელთა თამაში.

მეთაურ-პოლიტშემადგენლობასთან კარგი დამოკიდებულება აქვთ არმიელებს და ისინიც ცდილობენ ყოველ მხრივ დახმარებას, ისინი არმიელებთან ერთად ყველაფერში ღებულობენ მონაწილეობას.

ასეულში ზედმიწევნით არის დაცული დისციპლინა. ცუდ ზნე ჩვეულებას და უხეშ სიტყვებს ხმარობს წითელ-არმიელებ შორის ადგილი არა აქვს.

სისუფთავე დაცულია ასეულში. აბანოში თავის დროზე დავდივართ. ყველას შეგნებული აქვს თუ როგორი უბედურების მოტანა შეუძლია უსუფთაობას. ამის შესახებ საკმაოდ გველაპარაკა თავის საუბრებში ჩვენი ექიმი და კარგი ნაყოფიც გამოიღო.

სამხკორი გ. **ვაშაკიძე.**

## 3-გუნდის ცვალებადთა პირველი კონფერენცია.

13 აპრილს საზაფხულო კლუბის დარბაზში შესდგა ცვალებად შემადგენლობის დელეგატთა პირველი კონფერენცია.

დელეგატების გარდა კონფერენციას დაესწრნენ ტერიტორიალური ნაწილის მთელი შემადგენლობა და ახალწვეულები.

დღის წესრიგში იდგა 3 საკითხი: მოხსენება ტერიტორიალური სისტემის შესახებ და მისი მნიშვნელობა. მოხსენება გააკეთა ათასეულის უფროსმა, რომელიც დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი; გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც მხურვალეთ ეგებებიან საბჭოთა ხელისუფლების გადადგმულ ნაბიჯებს, ტერიტორიალური სისტემის შემოღებაში.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენება აგრეთვე საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ.

ბოლოს კონფერენციამ აირჩია 10 ტერკორი სხვა და სხვა სოფლებში.

საყურადღებოა ის, რომ ცვალებად შემადგენლობის თითქმის ყველა წითელ-არმიელებმა გამოაცხადეს სურვილი გაზეთების გამოწერაზე. საჭიროა, რომ ასეთი კონფერენციები და კრებები ადგილობრივ პოლიტხელმძღვანელებმა გამართონ ხშირათ, ვინაიდან აქ წითელ-არმიელები ეცნობიან წითელ-არმიის და ტერ-ნაწილების ცხოვრებას.

უსურვებთ მე-3 ასეულს ნაყოფიერ მუშაობას საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოთ.

ტერკორი გ. **ჩოჩიევი.**

## თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის ცხოვრებიდან.

შვიდი დღეა, რაც ავათ ვარ და ვწევარ პირველი კორპუსის მეორე პალატაში. ავადმყოფთა რიცხვი სულ 24 კაცია. მათ შორის ექვსი ქართველი ვართ და დანარჩენი ამხანაგები რუსებია. ჩვენ შორის ნამდვილი ძმური განწყობილებაა.

სხვა კორპუსებისას ვერაფერს ვიტყვი, რადგან არ ვიცნობ და ჩვენ კორპუსში კი ძალიან კარგ პირობებში ვცხოვრობთ. ოთხი ექიმი და ერთი ექთანა-შემწე თავს გვევლებიან.

ექიმი დუმბაძე წამლობის გარდა ჩვენთან ატარებს სანსაათებს რუსულ-ქართულად. რასაც ავადმყოფი წითელ არმიელები გულდასმით უსმენენ და აძლევენ მრავალ შეკითხვებს თავიანთი ავადმყოფობის დროს ნახულ გაუგებარ საკითხებზე. მოხსენებელიც საკმაოდ ნათლად უმარტავს ყველა გაუგებარ საკითხს.

ცოტათი ჯანსაღ ავადმყოფებს კვირაში ორჯერ უჩვენებენ გოსპიტალთან მოწყობილ კინოში სხვა და სხვა სურათებს.

ყოველდღიურად მოგვდის რუსულ-ქართული გაზეთები. პალატაშივე არის მოწყობილი ბიბლიოთეკა, სადაც საკმარისად მოიძებნება წიგნები.

მთავარი ყურადღება ადმინისტრაციისა მიქცეულია სისუფთავისაკენ.

საჭმელიც ძლიერ კარგი მზადდება და თავის დროზე. ერთი სიტყვით ვერ ნახავთ ისეთ ავადმყოფს, რომელიც, რამე საყვედურს ამბობდეს საავადმყოფოზე.

ექიმების გარდა სამხედრო კომისარიატი ხშირად გვნახულობს, მიდის ყოველ სამმართველოსთან და სათითაოთ ეკითხება ავადმყოფებს ხომ არაფერი აკლიათ.

მთავარი ექიმი სისტემატიურად გვნახულობს.

სამხკორი **ჯლანკი.**

## ამბები სოფლებიდან.

**ელსადგური ცხინვალში.**

სამხრეთ-ოსეთის ცაკმა დასდო ხელშეკრულება ელექტრო სადგურების საამშენებლო საზოგადოებასთან (ელმაშტრესტი) ცხინვალში ელსადგურის აშენების შესახებ.

**ლიახვის ნაპირების გამაგრება.**

ცხინვალში ახლო ხანში შეუდგებიან მდინარე ლიახვის ნაპირების გამაგრებას ქალაქის წყალდიდობისაგან დაცვის მიზნით.

**მკურნალობა სოფლათ.**

ქუთაისის აღმასკომმა თავის ხარჯზე გაგზავნა სოფ. დიდჯიხაიში ფერშალი.

**ჯარიმების პატიება.**

გორის აღმასკომმა აპატია გლეხებს თანახმათ ამნისტიისა, ტყეების გაჩეხისათვის შეწერილი ჯარიმები.

**აგარაკის მოწყობა.**

სამხ.-ოსეთის ცაკმა გადაწყვიტა სოფ. ჯავაში მინერალურ წყლებთან მოაწყოს აგარაკი.

**ახალი არტელი.**

გორში არსდება ახალი თვითმშრომელთა არტელი, რომელსაც ადგილობრივმა აღმასკომმა ასეხა 500 მანეთი, წარმოების მოსაწყობათ.

## ახალი ამბები.

— **კოჯორის ტრამვაი.** ტფილისის ქალაქის აღმასკომმა დაავალა ზაჰესის სატეხნიკო განყოფილებას გამოიმუშაოს პროექტი კოჯორში ტრამვაის გაყვანის შესახებ. ტრამვაის ხაზი დაიწყება ავლაბრის ხიდიდან და ბოტანიკურ ბაღზე გავლით და კრწანისში შეხვევით გაემართება კოჯორისაკენ.

— **ბინის ქირები კურორტებზე.** ქალ. აღმასკომმა გამოიმუშავა კურორტებზე ბინების ქირის ცხრილი. ის მუშა—მოსამსახურეები, რომლებიც ღებულობენ 75 მანეთამდე თვეში თითო კვადრ. არშინში გადიხდიან სეზონის განმავლობაში 1 მანეთს.

— **ბაღის გადაცემა.** ტფ. ქალ. აღმასკომმა გადასცა საქ. მონადირეთა კავშირს კრწანისის ბაღი.

— **მუშათა სახლის მოსაწყობათ** თფილისის ქალაქის აღმასკომმა გადასცა მელითონეთა კავშირს ყოფ. სასტუმრო „პრიმა“.

— **შაბიამანის და გოგირდის დარიგება.** საქ. სასოფლო სამეურნეო ბანკმა დაანაწილა მაზრებში 35 ათასი ფუთი შაბიამანი 30 ათასი ფუთი გოგირდი.

— **მევენახეობის აღდგენის** მიზნით ამერიკიდან გამოწერილი ვაზები, უკვე მიიღო სახალხო მამულების ტრესტმა 1.200.000 მეტრის რაოდენობით.

— **დოლის გახსნა.** 26 აპრილიდან დიდუბის იპოდრომზე გაიხსნება მარულა (დოლი)

— **მუშათა ჯანმრთელობის** გამოკვლევის მიზნით ჯანსახკომის დაზღვეულთა განყოფილება შეუდგა აჭარისტანის ქიმიური ქარხნის და ფოთის მტვირთავ მუშების საექიმო შემოწმებას.

— **ტფილისის წ.-კ. უცოდინარობის** სალიკვიდაციო სკოლებში მოსწავლეთა გამოშვება დაიწყება 1-ლი მაისიდან.

— **ბიბლიოთეკების ორკვირეული.** 10 მაისიდინ ტფილისში იწყება ბიბლიოთეკების ორკვირეული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სამხედრო ბიბმუშაკებიც.

— **მწერლობის და წიგნის** ისტორიის მუზეუმი გაიხსნება ტფილისში 17 მაისს.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ა. გორდეძეს.** „უნდა მოისპოს“ არ გამოდგა. შეიძლება გამოიყენოთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

**ამხ. შ. კვინიკაძეს.** კორესპონდენცია „პირველ ლეგ. პირველ ასეულში“ არ გამოდგა.

**ამხ. ჩხაიძეს.** წერილი „მოქმედებაც ასეთი უნდა“ არ დაიბეჭდება. ამის შესახებ იყო მოთავსებული ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ელიზბარს.** კორესპონდენცია „ევკოგრუზის ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედზე“ არ გამოდგა.

**ამხ. შ. კოჩლაძეს.** თქვენი წერილი „სხვა და სხვა ცხოველების ნაკელი და მათი თვისება“ არ „გამოდგა, არ დაიბეჭდება.

## სამნეო დარგის საკითხები.

**ჯარის ნაწილებისათვის ქვაბების დარიგებაზე.**

არმიის მომარაგების სამმართველოს სამხედრო სამნეო განყოფილება ამ ჟამად ანაწილებს და ზოგიერთ ჯარის ნაწილებს კიდეც ურიგებს ქვაბებს. ეს უკანასკნელი ეძლევათ მათ დროებით, როგორც ინდივიდუალური ჭურჭელი, ერთეულებში საერთოთ სამზარეულოს ჭურჭლის უქონლობის გამო. ქვაბები იძლევა ყველა სახეზე მყოფ წითელ არმიელების რიცხვზე იმ პირობით, რომ ყოველდღე ასუფთაონ, როგორც წესია და შემდეგ მიაბარონ შესანახად საკუჭნაოში. ამ წესის ასასრულებლად საჭიროა სასტიკი ზედამხედველობა.

იმის და მიხედვით როდესაც ერთეულში შეძენილ იქნება საკუჭნაოს ჭურჭელი, ეს ქვაბები უნდა შეკრეფილ იქმნას და ინახებოდეს საწყობში, როგორც ხელ-უხლებელი მარაგი ომიანობის დროისთვის.

**საავადმყოფოებში გაგზავნილ წითელ არმიელების ჩაცმა დახურვაზე.**

როგორც სჩანს სამხედრო საავადმყოფოების მიმოწერიდან, ზოგიერთი ჯარის ნაწილები საავადმყოფოებში გადაგზავნილ წითელ არმიელებს არ ატანენ თან ყველა იმ ტანისამოსს, რაც მათ ეკუთვნით.

ამ ნაირ მოვლენის თავიდან ასაცილებლად ჯარის ნაწილების უფროსებს ევალებათ, მიიღონ ზომები, თავიანთი პირადი პასუხის მგებლობით, რათა საავადმყოფოებში მიმავალი მოლაშქრენი იგზავნებოდნენ იმ ტანისამოსით, რომელიც მათზე იქნება საავადმყოფოში წასვლის დღეებში.

**წასასმელი მასალის განაწილება.**

სამხედრო სამნეო განყოფილების მიერ განაწილებულია მოკაზმულობის და საზიდავების ბორბლების წასასმელი მასალა ერთი წლის ვადით, ე. ი. ამ წლის 1-ლი იანვრიდან 1926 წ. 1-ლ იანვრამდის, შემდეგი ანგარიშით: ოროლი გირვანქა წასასმელი თითო წყვილ მოკაზმულობაზე და თითო გირვანქა—თითო უნაგირზე, ხოლო ბორბლების წასასმელი—თორმეტ-თორმეტი გირვანქა თითო ღერძიან საზიდავზე ცოცხა ოთხ ოთხი გირვანქა—ორ ღერძიან საზიდავზე (რ. რ. ს. ს. 1922 წ. № 2874 ბრძანება). აგრეთვე განაწილებულია ფეხსაცმელის წასასმელი 9 თვის ვადით, ე. ი. 1-ლ სექტემბრამდის,—თვითეულ წითელ არმიელზე იძლევა ათ-ათი გირვანქა საცხებელი თითო თვეში.

**სამუსიკო საკრავების შეკეთებაზე.**

ს. ს. რ. კავშირის განათლების კომისარიატმა მოაწყო მოსკოვში (კუზნეცკის შესახვევი № 3) სახელმწიფო სახელოსნოები ახალი სამუსიკო შთასაბერი საკრავების დასამზადებლად და ნახმარების—შესაკეთებლად. სასურველია ჯარის ნაწილებმა დაუჭირონ მხარი ამ სახელოსნოებს, როგორც სახელმწიფო ორგანოს და ისარგებლონ მით საჭიროებისამებრ.

როდესაც შესაკეთებელი სამუსიკო საკრავები იქმნება ბლომად, შეიძლება იგინი გადიგზავნოს უშუალოდ ზემოხსენებული მისამართით, ხოლო თუ თითო-ოროლა იქმნება, მაშინ უნდა გადიგზავნოს არმიის სანივთო საწყობში, საიდანაც, დაგროვებისას, გადიგზავნება მოსკოვში—სახელოსნოებში შესაკეთებლად. (განცხადება მუშათა და გლეხთა წითელი ლაშქრის სამმართველოსი 1924 წ. № 1).

**ერთი დივიზიიდან მეორეში ქონების გადაცემაზე.**

შემჩნეულია შემთხვევები, როდესაც ერთი დივიზიიდან მეორეში იგზავნება სამხედრო სამნეო განყოფილების უფროსის შეუტყობინებლივ ქონება, რითაც ირღვევა ერთგვარი წესი სანივთო კმაყოფისა.

საერთოთ მომარაგების საქმის სათანადო დონეზე დასაყენებლად მთელ არმიაში, საჭიროა რომ ყველა თვითეულ შემთხვევაში, როდესაც ქონება იგზავნება ერთი დივიზიიდან მეორეში, ამაზე ეცნოს ხოლმე სამხ. სამნ. განყოფილების უფროსს, პირად ანგარიშებში შესაფერ ცვლილების შესატანად.

**საბარგო და სანივთო კმაყოფის ტაბულებზე.**

ჯარის ნაწილები მიმართავენ არმიის მომარაგებას სამმართველოს თხოვნით, საბარგო და სანივთო კმაყოფის ტაბულის გაგზავნის შესახებ (ს. ს. რ. კავშირის რევ. სამხ. საბჭ. 1924 წ. № № 891 და 892 ბრძანებების დანართი). ამ თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელია, ტაბულების უქონლობის გამო. ჯარის ნაწილებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ „ნომენკლატურით“, რომელიც დაბეჭდილია ქონებათა აღრიცხვის ოქმის მეორე გვერდზე და რომელიც დაურიგდათ ყველა ნაწილებს 1924 წ. № 13951 ცირკულიარული მიწერილობით. რაც შეეხება ნივთების ხმარების ვადას—იგი გამოცხადებულია არმიისადმი 1924 წ. № 152 ბრძანებულობაში და რ. ს. ს. 1922 წ. № 148 ბრძანებაში.

ს. **შაკუნი.**

## მანცხადება.

### ვის აქვს საწინააღმდეგო?

**სამხედრო პოლიტიკურ სკოლის** კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ამავე სკოლის ადიუტანტს, სევერიანე ნიკოლოზის ძე ნადარაიას (სენაკის მაზრა).

ვისაც აქვს რაიმე საწინააღმდეგო აღნიშნულ ამხანაგის შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ ორი კვირის განმავლობაში ამ მისამართით: თბილისი, სამხედრო პოლიტსკოლის კომუჯრედს.

მდივანი **მითაიშვილი.**

პასუხის მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**



სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.